პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 125 (3102) 30 1966 წ. ივნისი. ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი



ნახტომი.

ფოტო ბ. ქვათაძისა.

## სსრ კავშირის პროფკავშირთა სპარტაკიადა

საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის აღსანიშნავად

ჩვენი ქვეყნის პროფკავშირების პრეზიდიუმმა დაადგინა 1967 წლის იანვრიდან მარტამდე ჩაატაროს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი VI ზამთრის სპარტაკიადა.

ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საკავშირო საბჭომ, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებმა და პროფკავშირების კომიტეტებმა უნდა უზრუნველყონ ყველა ფიზკულტურულ კოლექტივში შეჯიბრებებისა და სპარტაკიადების ჩატარება, ასპარეზობაში უნდა ჩააბან მუშა-მოსამსახურეები, მათი ოჯახის წევრები და მოსწავლეები.

სპორტსაზოგადოებათა საბჭოებმა და პროფკავშირების კომიტეტებმა, — ნათქვამია დადგენილებაში, — სამინისტროებთან, საწარმო-დაწესებულებებისა და სასწავლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებთან ერთად, უნდა დაამუშაონ მომავალი სათხილამურო სადგურების, საციგურაოების, სპორტინვენტარის გაქირავების პუნქტების გეგმა.

განზრახულია რუსეთის ფედერაციაში ჩატარდეს ტერიტორიული სპარტაკიადები ზონების მიხედვით. სათხილამურო სპორტში, ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში, სათხილამურო ორჭიდში, ბიატლონში, საციგურაო სპორტში, ფიგურულ სრიალსა და ჰოკეიში ფინალური შეჯიბრებები გაიმართება მარტში გორკში; სამთო-სათხილამურო სპორტში კი — ტერსკოლში (ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ).

სპარტაკიადაში მონაწილეობას მიიღებენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის, აგრეთვე, რსფსრ-ს ტერიტორიულ სპარტაკიადებში გამარჯვებული ნაკრები გუნდები.

სსრ კავშირის პროფკავშირთა VI ზამთრის სპარტაკიადის მომზადებისა და ჩატარების ხელმძღვანელობისთვის დამტკიცებულია საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც პროფკავშირების საბჭოს მდივანი ნ. რომანოვი თავმჯდომარეობს.

## როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო...

◆ სტოკჰოლმი, 29 ივნისი. ინგლისში გამგზავრების წინ სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა ბოლოსწინა მატჩი გამართა შვეციაში — შეხვდა ამ ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებს. ანგარიში გახსნეს მასპინძლებმა, მაგრამ შემდეგ ჩისლენკომ და პარკუიანმა დააწინაურეს თავიანთი გუნდი — 2:1. მატჩი გვიან ღამით დამთავრდა.

## ამარილდო მწყობრიდან გამოვიდა

სტოკჰოლმი, 29 ივნისი. მსოფლიოს ჩემპიონებს — ბრაზილიელ ფეხბურთელებს ბედმა უმუხთლა: პელეს გვერდით მოთამაშე სახელგანთქმული ცენტრალური თავდამსხმელი ამარილდო მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობას ვერ შეძლებს, უკიდურეს შემთხვევაში, მეოთხედფინალამდე. შვეციის ქალაქ ატვიდაბერგში, სადაც ბრაზილიელები გადამწყვეტი ბრძოლებისთვის ემზადებიან, ამარილდო ვარჯიშის დროს დაშავდა. ტრავმა იმდენად სერიოზული იყო, რომ ფეხბურთელი უგონოდ დაეცა მინდორზე და იგი სასწრაფოდ გაგზავნეს ჰოსპიტალში. იქ დაადგინეს, რომ ამარილდოს გაუწყდა მარჯვენა ფეხის ერთ-ერთი კუნთი, ეს რომ შეიტყო, 25 წლის სპორტსმენი ბავშვივით აქვითინდა. „მსოფლიო ჩემპიონატში ჩემი გამოსვლა მირაჟი გახდა“,— თქვა გულმოკლულმა ამარილდომ.

ბრაზილიის ნაკრების ექიმის ჰ. გოსლინგის აზრით, ამარილდო მწყობრიდან სულ ცოტა 3 კვირით გამოვიდა. გოსლინგმა გულისტკივილით აღნიშნა, რომ დაშავებული არიან გუნდის სხვა წევრებიც, მათ შორის, მეკარე ჟილმარი, თავდამსხმელები გარინჩა, სერვილიო და ალსინდო.

ამრიგად, ჩილის მსოფლიო ჩემპიონატში ამარილდოს პელესთან თამაშმა არ მოუწია, ვინაიდან პელე უკვე მეორე წინასწარ მატჩში დაშავდა. ახლა პელე იქნება უამარილდოდ...

## მასპინძელთა საბრძოლო რიგები

დუბნა (მოსკოვის ოლქი), 29 ივნისი. მოსკოვში მსოფლიოს უძლიერეს მოფარიკავეთა ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე გაირკვა ტურნირის მასპინძელთა საბრძოლო რიგები.

რაპირისტ ქალთა გუნდს სათავეში უდგას მოსკოველი გ. გოროხოვა. ნაკრებში არიან, აგრეთვე, მისი თანაქალაქელები—მსოფლიოს ექს-ჩემპიონები ვ. რასტვოროვა და ა ზაბელინა. მინსკელი ტ. სამუსენკო, ნ. კონდრატიევა (მოსკოვი); სათადარიგოა დ. ნიკანჩიკოვა (მინსკი).

ფარიკაობის ამ სახეობაში სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებში განსაცვიფრებელი რეკორდის მფლობელია — 1959 წლიდან იგი არავის უთმობს მსოფლიოში უძლიერესის ტიტულს და მისი კაპიტანი მუდამ იყო მოსკოველი მ მიდლერი. იგი ამჟამადაც გაიყვანს „ბრძოლის ველზე“ ჩვენს ნაკრებს, რომლის შემადგენლობაში არიან მსოფლიოს ექს-ჩემპიონი და სსრ კავშირის ჩემპიონი, გორკელი გ. სვეშნიკოვი, კიეველი ვ. პუტიატინი, ი. შაროვი და ი. სისიკინი (ორივენი — სარატოვი). სათადარიგო იქნება ე. რიუმინი (ლვოვი).

დაშნით ფარიკაობაში ჩვენი გუნდი ასე გამოიყურება: ოლიმპიური ჩემპიონი გ. კრისი (კიევი), სსრ კავშირის ჩემპიონი, მინსკელი ი. სმოლიაკოვი, მისი თანაქალაქელი ა. ნიკანჩიკოვი, თბილისელი გ. კოსტავა და კიეველი ი. ვიტებსკი. სათადარიგოა ორჯონიკიძელი ვ. გოჯიევი.

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ი. რილსკი უმეთაურებს ესპადრონისტთა გუნდს. მისი თანაგუნდელები იქნებიან: სსრ კავშირის ჩემპიონი ე. ვინოკუროვი (ლენინგრადი), უ. მავლიხანოვი და მ. რაკიტა (ორივენი — მოსკოვის ოლქი), ლენინგრადელი ბ. მელნიკოვი და თბილისელი ნ. ასათიანი.

სსრ კავშირის ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი ლ. საიჩუკი კმაყოფილია თავისი აღსაზრდელების მომზადებით. ნაკრების წევრებმა ჩემპიონატისწინა დღეები მეცნიერთა ქალაქ დუბნაში გაატარეს. საიჩუკმა თქვა, რომ საბჭოთა მოფარიკავეები როგორც პირად, ისე გუნდურ ჩათვლაში, პირველობისთვის იბრძოლებენ ყველა სახეობაში.



სურათზე: სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი და თასის მფლობელი, ლენინგრადელი ტანმოვარჯიშე ნ. კუჩინსკაია თავისუფალი ვარჯიშის დროს.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

## რეკორდმა მხოლოდ რამდენიმე დღე გაძლო

მოსკოვი, 28 ივნისი. როგორც ცნობილია, ამ რამდენიმე დღის წინ, ლენინგრადში, აღგილობრივმა არმიელმა ო. რაიკომ 1000 მეტრზე რბენაში ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა — 2.20,2. გუშინ აქ გამართულ ასპარეზობისას ეს რეკორდიც დაეცა: იგი 0,1 წამით გააუმჯობესა რაიკოს თანაქალაქელმა ი. პოტაპჩენკომ.

## ზონალური ტურნირის სტარტზე

ქუთაისი, 29 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). აქ, ცენტრალური სტადიონის ტერიტორიაზე გამართულ საჭიდაო სარბიელზე, დაიწყო კლასიკური სტილის ათლეტთა საკავშირო ჩემპიონატის ზონალური შეჯიბრება.

მოგვყავს პირველი დღის ტექნიკური შედეგები.

**უმძიმესი წონა.** ბოტკოვმა (მოსკოვი) ქულებით მოუგო დოხტურაშვილს (ქუთაისი).

**მძიმე.** ქეიშვილმა (ქუთაისი) დაამარცხა მორჩილაძე (მახარაძე), მირზოიანმა — დავითიანი (ორივენი — თბილისი).

**ქვემსუბუქი.** ესებუამ (ქუთაისი) წმინდად მოუგო კოჩიევს (რიაზანი) და ფრედ დაამთავრა შეხვედრა მელაშვილთან (თბილისი). მელაშვილმა, თავის მხრივ, წმინდად დაამარცხა ისაკოვი (მოსკოვი). უგრეხელიძე (თბილისი) — არუთინიანის (ერევანი) ორთაბრძოლაში ფიქსირებულ იქნა ფრე.

**მსუბუქი.** საკანდელიძემ (ქუთაისი) წმინდად დაამარცხა შავგულიძე (თბილისი). ტატიშვილმა (თბილისი) ორი ბრძოლა წააგო და ტურნირს გამოეთიშა. ეგაძემ (თბილისი) აშკარა უპირატესობით სძლია ბუხარლიმოვს (ყაზანი) და ფრედ იჭიდავა ლენინგრადელ როგაჩკოსთან.

**ქვეხაშუალო.** სირბილაძემ (თბილისი) მოუგო გონჩარენკოს (რიაზანი), ავთანდილიანმა (ერევანი) — ღულუნიშვილს (თბილისი), ჭელიძემ (თბილისი) წმინდად დაამარცხა ელისეევი (ლენინგრადი).

**საშუალო.** მაჭავარიან (თბილისი) — გასპაროვის (ერევანი) ბრძოლა ფრედ დასრულდა.

**ქვემძიმე.** ძიმისტარიშვილმა მოუგო პარლაგაშვილს (ორივენი — თბილისი), ტყემალაძემ (თბილისი) — ვარდანიანს (ერევანი). ერემეიშვილ (თბილისი) — მარქარიანის (ერევანი) ჭიდილი ფრედ დამთავრდა.

# დევიზი — ჰარმონიული აღზრდა!

აღზრდა ახალი ადამიანისა, რომელშიც ჰარმონიულად იქნება შერწყმული სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და კარგი ფიზიკური ჩვევები, დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ამაზე ხაზგასმით ითქვა სკკპ XXIII ყრილობაზე.

ეს აქტუალური ამოცანა წარმატებით უნდა გადაწყვიტოს აღზრდის განახლებულმა მეთოდებმა, პირობებმა და გარემომ, სადაც იზრდება, სწავლობს და შრომობს ადამიანი. ამ მხრივ მეტისმეტად საპასუხისმგებლო და საპატიო მოვალეობა აკისრიათ ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებს.

ჩვენი გაზეთის ამ გვერდში მოგითხრობთ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა სასწავლო-პედაგოგიური პრაქტიკის შესახებ.



ფიზკულტურის ინსტიტუტი ორჯონიკიძის რაიონის სკოლების პირნათელი შეფია. ამ სკოლების მოსწავლეებს, რომელთაც საკუთარი ბაზები არ გააჩნიათ, ხშირად ნახავთ ინსტიტუტის დარბაზებსა და მოედნებზე — ისინი აქ ატარებენ წვრთნას და შეჯიბრებებს.

ს უ რ ა თ ზ ე: 123-ე სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი ნ. კალანდაძე ინსტიტუტის ბაზაზე სპორტულ სიარულში ავარჯიშებს მოსწავლეებს.

## ახალი ამოცანების შესატყვისად

სტუდენტის აღზრდა სამოქმედო ასპარეზისთვის ხანგრძლივ და გულდადებით შრომას მოითხოვს. სხვისი მისაბაძი და აღმზრდელი რომ გახდეს, ჯერ თავად პედაგოგი უნდა იყოს ფიზიკურად და სულიერად სრულყოფილი მოქალაქე.

ინსტიტუტდამთავრებული ახალგაზრდა ყოველმხრივ მზად უნდა იყოს პრაქტიკული მოღვაწეობისთვის. ამიტომ ჩვენი მუშაობის მეტად პასუხსაგებ უბანს სწორედ სტუდენტთა სასწავლო-პედაგოგიური პრაქტიკა წარმოადგენს. წლეულს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ სამჯერ იმსჯელა ჩვენი სტუდენტების პრაქტიკის ავკარგზე, დასახა ღონისძიებები მისი უკეთ ჩატარებისთვის. განზრახული გვაქვს ინსტიტუტთან შევქმნათ ბავშვთა სპორტული კლუბი, რომელსაც საზოგადოებრივ საწყისებზე უხელმძღვანელებენ კათედრები და სტუდენტები. ეს სასარგებლო იქნება ჩვენი სტუდენტებისთვისაც, რომლებიც აქვე, ინსტიტუტის ბაზებზე, შეიძენენ პედაგოგიურ ჩვევებს.

კარგი ფიზიკური მონაცემებისა და თეორიული ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდების კონტინგენტიდან ინსტიტუტში მისაღებად ყველაზე ღირსეულებს ვარჩევთ. ინსტიტუტის ლაბორატორიები, სასწავლო კაბინეტები, სპორტული და თეორიული დისციპლინების კათედრები მოწოდებული არიან რაც შეიძლება მრავალმხრივი და საფუძვლიანი ცოდნა მისცენ ახალგაზრდებს. საამისოდ ჩვენთან ყოველგვარი პირობა და საშუალებაა.

ვ. სამსონაძე,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორი.

## ლ ა პ ა რ ა კ ო ბ ე ნ...

### ● განუყოფელი

ჩვენი სკოლის სპორტული მიღწევები მთელ რესპუბლიკაშია ცნობილი. ამას, პირველ ყოვლისა, იმით მივაღწიეთ, რომ ჩვენი მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან შესანიშნავი ბაზებით. ყოველნაირად მხარს ვუჭერთ და ვავითარებთ მათ ინტერესს, — ფიზიკური წრთობა ხომ ჭაბუკებისა და გოგონების საერთო აღზრდის განუყოფელი ნაწილია.

ახლო მომავალში ერთიორად გაიზრდება სპორტულ ღონისძიებათა რიცხვი. ჩვენები უფრო ხშირად გამოვლენ რაიონულ და საქალაქო პირველობებში, სპორტულ სექციებში მოსწავლეთა უმრავლესობას ჩავაბამთ.

განზრახული გვაქვს, გამოცდილების გაზიარების მიზნით, რიგაში გავგზავნოთ სკოლის ფიზაღზრდის უფროსი მასწავლებელი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი გ. ღლონტი.

მ. კობახიძე,
თბილისის 77-ე საშუალო სკოლის დირექტორი.

### ● დიდი შესაძლებლობები

სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებით, ახალ ხუთწლედში ერთიორად და უფრო მეტად გაიზრდება სკოლებში გახანგრძლივებული დღის ჯგუფების რიცხვი. ეს კი მოზარდი თაობის ჰარმონიულად აღზრდის დიდ შესაძლებლობებს იძლევა.

ფიზაღზრდის პედაგოგებს საშუალება მიეცემათ სისტემატურად ჩაატარონ მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, გეგმაზომიერად წარმართონ მზარდი ორგანიზმის ფიზიკური სრულყოფა.

ჩვენს სკოლაში უკვე ყველა პირობაა საამისოდ. გვაქვს კეთილმოწყობილი ბაზები, მოსწავლეთა განკარგულებაშია ყოველგვარი სპორტული ინვენტარი. ჩვენი შეფის — ფიზკულტურის ინსტიტუტის დახმარებით უკვე გარკვეული წარმატებებიც მოვიპოვეთ. აღსანიშნავია, რომ სტუდენტ პრაქტიკანტთა კავშირი სკოლასთან პედაგოგიური პრაქტიკის დამთავრებით როდი წყდება. ისინი ჩვენი ხშირი სტუმრები არიან, ხელმძღვანელობენ მათ მიერვე შექმნილ სექციებს, გვეხმარებიან ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობაში.

ც. კიკნაძე,
თბილისის 1-ლი გახანგრძლივებული დღის სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.

### ● პრაქტიკანტთა თაოსნობით

პრაქტიკანტმა სტუდენტებმა დიდი დახმარება გაგვიწიეს სპორტულ-მასობრივ და გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ჩატარებაში: ჩვენს გვერდით იყვნენ რაიონული და საქალაქო პირველობების დროს; მოგვიწყეს ფოტოსტენდები, გამოუშვეს კედლის გაზეთები; ჩაგვიტარეს საინტერესო საუბრები...

არასოდეს დაგვავიწყდება შეხვედრა რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრების ამაგდარ ადამიანებთან.. ეს ღონისძიებაც პრაქტიკანტთა თაოსნობით ჩატარდა. მოვიწვიეთ საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი მ. გორგაძე, სპორტის დამსახურებული ოსტატები დ. იოსელიანი, გ. ბაბილოძე, ა. ჯორჯაძე, მ. ჟღენტი.

სტუმრებმა ბევრი რამ საინტერესო გვიამბეს, გვიპასუხეს შეკითხვებზე და სკოლის ბიბლიოთეკისთვის გადმოგვცეს სპორტული წიგნები.

მეგი გოგოლაძე,
თბილისის 77-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

## ლაპარაკობენ...

### ● მოთხოვნად, ჩვევად ვაქციოთ

ცნობილი ანატომი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის ფუძემდებელი პ. ლესგაფტი ამბობდა: სკოლას არ შეუძლია იარსებოს ფიზიკური განათლების გარეშე, ფიზიკური ვარჯიშები გონებრივი შრომის შესატყვისად უნდა ტარდებოდესო. გამოცდილებამ კარგა ხანია დაადასტურა ამ სიტყვების ჭეშმარიტება. სამწუხაროდ, ზოგიერთს დღემდე ჰგონია, რომ ფიზიკური ვარჯიში მხოლოდ კუნთოვან სისტემას ავითარებს.

ფიზიკურ კულტურასა და სპორტს დიდი ჰიგიენური და აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს. მისი დამფასებელი მუდამ შრომისუნარიანი, ხალისიანი, ჯანმრთელი და მხნეა.

ფიზიკური ვარჯიში ორგანიზმის აუცილებელ მოთხოვნად, ჩვევად უნდა ვაქციოთ. რაც ადრეულ ასაკში მივაღწევთ ამას, მით უკეთესია.

სკოლა ახალგაზრდა თაობის კომუნისტურად აღზრდის ძირითადი კერაა. ბავშვს სწორედ აქ უნდა ჩავუნერგოთ სპორტისადმი სიყვარული. მოზარდი თაობის ფიზიკური წრთობისთვის ერთობლივად უნდა იზრუნონ სკოლამ და ოჯახმა.

ზ. კოვზირიძე,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ჰიგიენისა და სპორტული მედიცინის კათედრის გამგე.

### ● ისევ გოგი მასწავლებელთან

მაშინ თბილისის 77-ე საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე ვიყავი. საქართველოს დამსახურებულ მასწავლებელს გ. ღლონტს ვთხოვე ტანვარჯიშის სექციაში ჩავეწერე. შემდეგ კლასიკურ ჭიდაობაში დავიწყე ვარჯიში და საბოლოოდ ამ სახეობას გავყევი. დაოსტატების სურვილმა ფიზკულტურის ინსტიტუტში შემიყვანა. და აი, უკვე III კურსის სტუდენტი, პედაგოგიურ პრაქტიკაზე ჩემს აღმზრდელ სკოლაში გამგზავნეს. აქ ფიზაღზრდის მასწავლებლად კვლავ გ. ღლონტი მუშაობს, — მან ჩამინერგა სპორტის სიყვარული და სწორი გზაც ამარჩევინა.

ახლა, როცა თავად ვეზიარე პედაგოგიური ხელოვნების საიდუმლოებას, უფრო გამიღრმავდა სიყვარული სპორტისა და მისი ამაგდარი ადამიანებისადმი.

ნ. ღუჩაშვილი,
სპორტის ოსტატი.

## სპორტის სიყვარულით

პრაქტიკანტთა მე-3 ბრიგადის თავკაცი ჰ. იაშვილი ღელავდა, მაგრამ საკლასო ოთახში შესულმა, მოსწავლეებს მაინც თამამად განუცხადა: დღეს თეორიული მეცადინეობა გვექნება, მკითხეთ, ვის რა გაინტერესებთო.

— რომელი წლიდან დაწესდა სპორტის ოსტატის წოდება? — იკითხა ერთ-ერთმა მოსწავლემ, პრაქტიკანტის მკერდზე ოსტატის ნიშანს რომ მოჰკრა თვალი.

პასუხი მოკლედაც შეიძლებოდა, მაგრამ იაშვილმა ჯერ საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის ისტორიაზე და სპორტსაზოგადოებათა შექმნაზე ისაუბრა, მერე — კლასიფიკაციისა და წოდებათა შემოღებაზე.

ერთმა მოსწავლემ სთხოვა, თქვენი სპორტული ბიოგრაფია გაგვაცანითო.

ჰ. იაშვილი ერთხანს ჩუმად იყო. გაუჭირდა თავისთავზე ლაპარაკი, მაგრამ მოლოდინში გარინდულ კლასს რომ გადახედა, მაინც დაიწყო:

— ფიზკულტურა და სპორტი სკოლაშივე შემიყვარდა. არც სპორტული ბაზა გვქონდა, არც ინვენტარი. ერთადერთი, რაზედაც ხელი მიგვიწვდებოდა, ჭიდაობა იყო. გაკვეთილების შემდეგ მწვანე მოლზე ვჭიდაობდით სოფლის ბიჭები...

ლენინგრადში საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურის დროს მძლოლად იყო ნაწილში. ხშირად გადაყავდა მოჭიდავეები სპორტულ დარბაზში. გულდასმით უცქეროდა მათ ვარჯიშს, თავადაც ერჩოდა ძალა. სურვილი თანამემამულეებს, სპორტის ოსტატებს, ლაგოდეხელ ვ. ხარაიშვილს და ამჟამად ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტს ლ. ხარტიშვილს გაანდო. ბიჭები დაეხმარნენ და „ლია ლეიბზე" გამოსვლისთვის მოამზადეს. თანრიგოსანთა შორის გამარჯვება დიდი მიღწევა იყო ახალბედა სპორტსმენისათვის. მალე IV ადგილი დაიკავა ლენინგრადის სამხედრო ოლქის მოჭიდავეთა ასპარეზობაში, კალინინგრადის ოლქის სპორტსმენთა შორის კი ბადალი არ ჰყავდა თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში. შემდეგ ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქის პირველობაში დაიკავა III ადგილი. ამ პერიოდში შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში.

სპორტის სიყვარულმა ჭაბუკი 1964 წელს ფიზკულტურის ინსტიტუტში მიიყვანა. ამავე წელს მიიღო სპორტის ოსტატის წოდება. ამჟამად საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის მ. თიკანაძის მოწაფეა. მოსწავლეებმა იმ დღეს გაიგეს ისიც, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტია ჰ. იაშვილის ორი ძმაც.

პრაქტიკანტმა აქ დაასრულა თხრობა. მოსწავლეები გულდასმით უსმენდნენ მას. ოცნებაში, ალბათ, თავიანთ თავსაც ხედავდნენ — სასახელო მოქალაქესა და სპორტსმენს.

თ. გაჩეჩილაძე.



პრაქტიკანტები მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ ყოველი გაკვეთილის მომზადებას. ჩამზიდი ნაწილისთვის ისინი თავად ადგენდნენ ვარჯიშთა კომპლექსს.

ს უ რ ა თ ზ ე: პრაქტიკანტი ლ. ჩოგოვაძე გაკვეთილს ატარებს 77-ე საშუალო სკოლის IX კლასში.

ფოტო თ. გაჩეჩილაძისა.

## 47 „ფრიადი"

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა სთხოვა პრაქტიკის საერთო ხელმძღვანელს, ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის უფროს მასწავლებელ შ. ელიაშვილს პასუხი გაეცა ზოგიერთ შეკითხვაზე:

● **რამდენი სტუდენტი გადიოდა წლეულს პედაგოგიურ პრაქტიკას?**

— 84. ისინი 13 ბრიგადად იყვნენ დაყოფილი და დედაქალაქის 13 საშუალო სკოლაში იმყოფებოდნენ პრაქტიკაზე.

● **რა სიახლე იყო პრაქტიკის დებულებაში?**

— თუ წინა წლებში სტუდენტებს 27 გაკვეთილის ჩატარებას ვავალებდით, წლეულს ეს რიცხვი ექვსით გაიზარდა. მეტი საათი დაეთმო პროპაგანდისტულ ლექცია-საუბრებს, საუკეთესო ბრიგადებისთვის დაწესდა წამახალისებელი ჯილდოები.

● **როგორ ხორციელდებოდა პრაქტიკის ხელმძღვანელობა?**

— ეს საქმე ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრას ევალებოდა. ყოველ ბრიგადას ხელმძღვანელობდა მეთოდისტი ინსტიტუტიდან და ფიზაღზრდის მასწავლებელი სკოლიდან.

● **რა სიახლე დანერგეს სკოლებში პრაქტიკანტებმა?**

— მათი ხელი, პირველ ყოვლისა, სექციებს დაეტყო: გადაახალისეს ისინი და ორგანიზაციულად განამტკიცეს. შექმნეს 77 ახალი სექცია, რომლებშიც 1172 მოსწავლე გაერთიანდა, — გამოდის, რომ ყ ო ვ ე ლ მ ა ს ტ უ დ ე ნ ტ მ ა 14 მ ო ს წ ა ვ ლ ე ჩ ა ა ბ ა ს პ ო რ ტ უ ლ ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა შ ი. სტუდენტთა ძალებით ჩატარდა 379 ღონისძიება, მოეწყო 103 ექსკურსია-ლაშქრობა, მომზადდა იმშთ 1256 და მშთ 1705 ნიშნოსანი, 75-ს მიენიჭა საზოგადოებრივი მწვრთნელისა და მსაჯის წოდება, 76-მა კი შეასრულა სათანრიგო ნორმატივი.

### „ლელო" ინტერვიუ

● **რომელმა ბრიგადამ იმუშავა უკეთ?**

— ქების ღირსია მე-3, მე-7, მე-8, მე-10 და მე-13 ბრიგადები, რომლებსაც მეთოდისტები გ. ყირიმელაშვილი, მ. მაისურაძე, ა. რატია და ე. მელნიკოვა ხელმძღვანელობდნენ.

● **რა შეფასება მიიღეს პრაქტიკანტებმა?**

— ფრიადი დაიმსახურა 47-მა, კარგი — 28-მ, დამაკმაყოფილებელი — 4-მა. სტუდენტს ჯერ სასკოლო და კლასგარეშე მუშაობაში ვუწერდით ნიშნებს და შემდეგ საერთოდ ვაფასებდით.

ფეხბურთი

## სსრ კავშირის პირველობა

### „ა" კლასი II ჯგუფი

#### გათამაშების ცხრილი

I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 30 ივნისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ყუბანი" (კრასნოდარი) | 14 | 7 | 5 | 2 | 20—6 | 19 |
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 14 | 8 | 3 | 3 | 23—13 | 19 |
| „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) | 14 | 8 | 5 | 3 | 21—15 | 17 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 14 | 5 | 7 | 2 | 18—12 | 17 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 14 | 7 | 3 | 4 | 14—11 | 17 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 14 | 5 | 5 | 3 | 15—10 | 16 |
| „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) | 14 | 6 | 4 | 4 | 16—17 | 16 |
| „თერგი" (გროზნო) | 14 | 5 | 6 | 3 | 12—13 | 16 |
| „დაუგავა" (რიგა) | 14 | 5 | 5 | 4 | 21—13 | 15 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 15 | 5 | 4 | 6 | 9—12 | 14 |
| „სპარტაკი" (ნალჩიკი) | 14 | 4 | 4 | 6 | 10—15 | 12 |
| „ბალტიკა" (კალინინგრადი) | 14 | 3 | 6 | 5 | 7—13 | 12 |
| „დინამო" (ბათუმი) | 14 | 4 | 3 | 7 | 13—18 | 11 |
| „სპარტაკი" (გომელი) | 14 | 3 | 5 | 6 | 7—13 | 11 |
| „დინამო" (ტალინი) | 14 | 3 | 4 | 7 | 12—15 | 10 |
| „როსტსელმაში" (როსტოვი) | 14 | 2 | 6 | 6 | 9—19 | 10 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 15 | 1 | 6 | 8 | 10—22 | 8 |

* * *

გუშინწინ გაიმართა „ა" კლასის II ჯგუფის I ქვეჯგუფის გუნდების მორიგი ტური.

აი, შედეგები: „დინამო" (სტავროპოლი) — „შირაკი" (ლენინაკანი) 0:0, „დაუგავა" (რიგა) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 0:2, „დინამო" (ტალინი) — „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) 1:2, „ბალტიკა" (კალინინგრადი) „ჟალგირისი" (ვილნიუსი) 0:0, „სპარტაკი" (გომელი) — „რუბინი" (ყაზანი) 0:1, „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „როსტსელმაში" (როსტოვი) 2:3.

## საქართველოს პირველობა

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

● „ფეიქარი" (წულუკიძე) — „ტორპედო" (გაგრა) 4:2. მსაჯი დ. შკუროვი (თბილისი).

მე-9 წუთზე მასპინძელთა დაცვაში დაშვებული უხეში შეცდომის შედეგად ანგარიში გახსნეს ტორპედოელებმა. მარცხს „ფეიქრის" გაძლიერებული იერიშები მოჰყვა და მცირე ხნის შემდეგ იგი უკვე დაწინაურდა — 2:1, ამასთან ორივე ბურთი ჯანელიძემ გაიტანა. შესვენების შემდეგ სტუმრებმა შეძლეს წონასწორობის აღდგენა, მაგრამ მათი წარმატება ამით ამოიწურა. მანაგაძისა და ჩიმაკაძის ზუსტი დარტყმების შემდეგ გამარჯვება დარჩა წულუკიძის გუნდს.

● „ქართლი" (გორი) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 1:1. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

● „ოდიში" (ზუგდიდი) — „ისანი" (თბილისი) 2:2. მსაჯი ვ. მედვედევი (რუსთავი).

ზუგდიდელთა გამარჯვება თითქოს ეჭვს არ იწვევდა: ისინი წინ იყვნენ ანგარიშით 2:0, მატჩის დასასრულს კი სულ 6 წუთი უკლდა. ეს მცირე დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ „ისანს" ორივე გოლი გაექვითა.

● „განთიადი" (ბორჯომი) — „ირისთონი" (ცხინვალი) 1:1. მსაჯი კ. ცხაკაია (თბილისი).

დაძაბული ბრძოლა არ შემწყდარა მთელი მატჩის მსვლელობაში. პირველი ბურთი გატანილ იქნა შესვენების შემდეგ ქობულოვის (ცხინვალი) მიერ. ბორჯომელებმა შეძლეს მხოლოდ საპასუხო გოლის გატანა.

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „დინამო" I (თბილისი) 5:0. მსაჯი თ. გრიგორაშვილი (თბილისი).

● „სინათლე" (თბილისი) — „მესხეთი" (ახალციხე) 0:0. მსაჯი ა. ვარდიაშვილი (თბილისი).

● „მეშახტე" (ტყვარჩელი) — „დინამო" (ქუთაისი) 5:0. მსაჯი ე. ჩიფჩიური (თბილისი).

● „ბახმარო" (ჩოხატაური) — „კოლმეურნე" (წალენჯიხა) 1:1. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

● ასკ (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 0:1. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).

მატჩი მიმდინარეობდა თანაბარ ბრძოლაში და სტუდენტებს გამარჯვება მოუტანა ცინცაძის მიერ გატანილმა გოლმა.

● „ლოკომოტივი" (სამტრედია) „ნარინჯი" (ბათუმი) 1:1. მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).

რკინიგზელებს სრული უპირატესობა ჰქონდათ ამ თამაშში, მაგრამ გუნდმა ვერ გამოიყენა მთელი რიგი ხელსაყრელი მომენტები. იგი იძულებული იყო ფრეს დასჯერებოდა.

● „მერცხალი" (მახარაძე) — „შუქურა" (ქობულეთი) 2:2. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

მრავალრიცხოვანი მაყურებელი მოწმე იყო საინტერესო, დაძაბული ბრძოლისა. მატჩი დაიწყო სწრაფ ტემპში და უკვე მე-10 წუთზე სტუმრებმა (მანელაშვილი) გახსნეს ანგარიში. მახარაძელებმა შეტევით იერიშით უპასუხეს და ტაიმის მიწურულში გაქვითეს გოლი (სალუქვაძე). იმავე სალუქვაძემ მეორე ტაიმში დააწინაურა თავისი გუნდი, მაგრამ „მერცხალმა" ვერ შეინარჩუნა გამარჯვება. საპასუხო გოლი კვლავ მანელაშვილმა გაიტანა.

● „კოლხეთი" (ცხაკაია) — „გურია" (ლანჩხუთი) 0:2. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).

ამ გუნდების შეხვედრები მუდამ საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობს. ასე იყო ამჯერადაც. „კოლხეთმა" დარწმუნებულად, ძლიერად დაიწყო მატჩი, მაგრამ სტუმრების მეკარე ურუშაძის შესანიშნავი თამაშის წყალობით, ამ იერიშებს შედეგი არ მოჰყოლია. სამაგიეროდ, „გურიის" ერთ-ერთი საპასუხო შეტევა გოლით დაამთავრა ჩხარტიშვილმა. ანალოგიური სურათი გამეორდა მეორე ტაიმში: უტევდნენ მასპინძლები, გოლი კი კვლავ სტუმრებმა გაიტანეს: 78-ე წუთზე სიხარულიძემ ნარიაშვილის გადაცემიდან განამტკიცა თავისი გუნდის გამარჯვება.

### I ჯგუფის II ქვეჯგუფი

I ზონა

„სამცხე" (აწყური) — „მეტალურგი" (რუსთავი) 0:0, „თრიალეთი" (წალკა) — „ნადიკვარი" (თელავი) 2:4, „შირაქი" (წითელწყარო) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 1:1, „გარეჯი" (საგარეჯო) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 3:1, „არაგვი" (დუშეთი) — „არაგვი" (მცხეთა) 1:5.

II ზონა

„კოლხიდმშენი" (ფოთი) — „კოლხეთი" (ხობი) 0:1, „საირმე" (მაიაკოვსკი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 5:0, „ლაითური" (მახარაძე) — „სულორი" (ვანი) 2:0, მშენებელი" (ჭიათურა) — „აერო" (გალი) 0:2, „ცისარტყელა" (თბილისი) — „სამგურალი" (წყალტუბო) 1:0, „ზემო ქართლი" (ხაშური) — „ცისკარა" (ბათუმი) 0:0.

#### გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 27 ივნისისათვის

I ჯგუფის I ქვეჯგუფი

I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 15 | 11 | 2 | 2 | 29—10 | 24 |
| „სინათლე" (თბილისი) | 14 | 9 | 4 | 1 | 31—8 | 22 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 14 | 7 | 6 | 1 | 20—7 | 20 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 15 | 8 | 3 | 4 | 26—14 | 19 |
| „განთიადი" (ბორჯომი) | 14 | 8 | 3 | 3 | 14—11 | 19 |
| „ისანი" (თბილისი) | 14 | 4 | 4 | 6 | 11—13 | 12 |
| „ირისთონი" (ცხინვალი) | 13 | 4 | 4 | 5 | 10—13 | 12 |
| „ქართლი" (გორი) | 14 | 4 | 4 | 6 | 11—15 | 12 |
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 15 | 3 | 5 | 7 | 9—15 | 11 |
| „ოდიში" (ზუგდიდი) | 15 | 4 | 3 | 8 | 19—34 | 11 |
| „ტორპედო" (გაგრა) | 13 | 2 | 2 | 9 | 13—23 | 6 |
| „დინამო" I (თბილისი) | 14 | 1 | 0 | 13 | 15—40 | 2 |

II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გურია" (ლანჩხუთი) | 15 | 8 | 5 | 2 | 25—9 | 21 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 14 | 7 | 5 | 2 | 24—14 | 19 |
| „კოლმეურნე" (წალენჯიხა) | 15 | 7 | 5 | 3 | 18—13 | 19 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 15 | 5 | 7 | 3 | 18—18 | 17 |
| ასკ (თბილისი) | 15 | 5 | 6 | 4 | 20—14 | 16 |
| „კოლხეთი" (ცხაკაია) | 15 | 6 | 4 | 5 | 20—20 | 16 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 14 | 5 | 5 | 4 | 22—17 | 15 |
| „ნარინჯი" (ბათუმი) | 15 | 3 | 9 | 3 | 14—13 | 15 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 14 | 4 | 7 | 3 | 12—13 | 15 |
| „მეშახტე" (ტყვარჩელი) | 15 | 5 | 3 | 7 | 18—18 | 13 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 15 | 2 | 5 | 8 | 17—27 | 9 |
| „დინამო" (ქუთაისი) | 14 | 0 | 1 | 13 | 8—41 | 1 |

I ჯგუფის II ქვეჯგუფი

I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გარეჯი" (საგარეჯო) | 9 | 7 | 1 | 1 | 18—7 | 15 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 10 | 4 | 4 | 2 | 20—12 | 12 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 10 | 5 | 2 | 3 | 20—12 | 12 |
| „ნადიკვარი" (თელავი) | 8 | 5 | 1 | 2 | 12—9 | 11 |
| „არაგვი" (მცხეთა) | 9 | 4 | 3 | 2 | 16—16 | 11 |
| „სამცხე" (აწყური) | 9 | 2 | 5 | 2 | 10—9 | 9 |
| „კოლმეურნე" (მარნეული) | 9 | 2 | 4 | 3 | 13—18 | 8 |
| „ბახტრიონი" (ახმეტა) | 8 | 2 | 4 | 2 | 9—11 | 8 |
| „შირაქი" (წითელწყარო) | 8 | 1 | 5 | 2 | 9—10 | 7 |
| „თრიალეთი" (წალკა) | 8 | 1 | 4 | 3 | 5—10 | 6 |
| „ჰერეთი" (ლაგოდეხი) | 9 | 1 | 3 | 5 | 6—11 | 5 |
| „არაგვი" (დუშეთი) | 9 | 0 | 2 | 7 | 9—22 | 2 |

II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლაითური" (მახარაძე) | 10 | 7 | 2 | 1 | 13—4 | 16 |
| „აერო" (გალი) | 10 | 5 | 4 | 1 | 19—7 | 14 |
| „ზემო ქართლი" (ხაშური) | 10 | 4 | 4 | 2 | 25—12 | 12 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 10 | 5 | 2 | 3 | 17—10 | 12 |
| „ცისარტყელა" (თბილისი) | 10 | 6 | 0 | 4 | 11—11 | 12 |
| „კოლხეთი" (ხობი) | 10 | 4 | 3 | 3 | 10—9 | 11 |
| „სულორი" (ვანი) | 10 | 3 | 5 | 2 | 9—9 | 11 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 9 | 4 | 2 | 3 | 7—12 | 10 |
| „საირმე" (მაიაკოვსკი) | 10 | 3 | 3 | 4 | 14—14 | 9 |
| „კოლხიდმშენი" (ფოთი) | 11 | 3 | 2 | 6 | 11—20 | 8 |
| „მშენებელი" (ჭიათურა) | 10 | 3 | 0 | 7 | 13—25 | 6 |
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 9 | 1 | 3 | 5 | 6—19 | 5 |
| „ცისკარა" (ბათუმი) | 11 | 1 | 2 | 8 | 3—6 | 4 |

### სსრ კავშირის თასზე

თბილისის „ლოკომოტივის" ფეხბურთელებმა სსრ კავშირის თასის გათამაშებაში, როგორც ცნობილია, ვორონეჟში დაამარცხეს ადგილობრივი „ტრუდი" — 1:0.

თასის გათამაშების შემდგომი შეხვედრა თბილისის „ლოკომოტივს" ექნება საკუთარ მინდორზე. 12 ივლისს იგი მიიღებს ჩირჩიკის „ხიმიკს".

## ბათუმის საერთაშორისო ტურნირი

### შესანიშნავი „ნახტომი"

ბელგრადელი მოჭადრაკე დ. ველიმიროვიჩი მუდამ კომბინაციის ძიებაშია. იგი არც საეჭვო შეწირვებს ერიდება, რადგან თავის სიძლიერეში ღრმადაა დარწმუნებული. ბრძოლის პრინციპების გაგებით ველიმიროვიჩი მ. ტალს მოგვაგონებთ და ამიტომაც მას „იუგოსლავიელი ტალი" შეარქვეს.

15 წლის ე. უბილავა, პირიქით, დაღვინებული კაცივით, დაკვირვებულად, აუღელვებლად თამაშობს. მას არ აკრთობს ავტორიტეტები, საღად აზროვნებს და რეალურად ჰვრეტს მოვლენებს.

და აი, დ. ველიმიროვიჩმა გადაწყვიტა დაებნია გამოუცდელი თბილისელი ჭაბუკი, მაგრამ ნურას უკაცრავად!

ე. უბილავა



დ. ველიმიროვიჩი

ამ პოზიციაში, რომელიც უაღრესად მწვავეა, იუგოსლავიელმა მძაფრი გაგრძელება აირჩია: ფიგურა შესწირა.

**17. fg?!**

ელიზბარმა აქ დაახლოებით 20 წუთი იფიქრა, ყველაფერი აწონდაწონა და გამოწვევა მიიღო.

**17. ... d4 18. fg+ მფh8**

უკეთესი სვლაა. 18. ... ე:f7-ს მოჰყვებოდა 19. კc4.

**19. კh6 dc 20. კ:g7+ მფ:g7 21. ლg5+ მფh8 22. კc4 ლd2**

ჭაბუკ მოჭადრაკეს აქ ბევრი კარგი გაგრძელება ჰქონდა, მაგრამ მან ყველაზე მომხიბლავი აირჩია, ვინაიდან ფინალში ლამაზი კომბინაცია ესახებოდა.

**23. ლg3 ლd4+ 24. მფh1 cb 25. ეae1 ლe5 26. ლh4 მd4 27. ეe3 ე:c4!**

კომბინაციის პრელუდია. ეს არის მოგების უმოკლესი გზა.

**28. bc ე:f7 29. ლf2 მg4!**

შესანიშნავი „ნახტომი". ველიმიროვიჩს ემუქრება შამათი ან ლაზიერის დაკარგვა. ამიტომ მან დანებება ამჯობინა.

თ. გიორგაძე.

ბათუმი.

### გუშინ...

#### ცენტრალური პარტია ყაიმით დამთავრდა

VII ტურში ყურადღების ცენტრში იყო გურგენიძისა და კურაიცას შეხვედრა.

სიცილიური დაცვიდან ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო, განსაკუთრებით კი გურგენიძის მიერ პაიკის შეწირვის შემდეგ. იუგოსლავიელი შესანიშნავად იცავდა თავს და შეიქნა შთაბეჭდილება, თითქოს მან სავსებით გააქარწყლა მეტოქის მუქარები, მაგრამ სასტიკ ცაიტნოტში ეტლის ლამაზი შეწირვით ძალიან გაამწვავა თამაში. პარტია გადაიდო. შეხვედრის განახლების შემდეგ მეტოქეებმა 3-3 სვლა გააკეთეს და ყაიმზე შეთანხმდნენ.

უბილავამ რთულ ენდშპილში დაამარცხა გდრ-ის ჩემპიონი ცინი, უნგრელმა ფელდიმ — ჩეხოსლოვაკიელი უიტელკი, მინიჩმა (იუგოსლავია) — ჯინჯიხაშვილი.

ყაიმით დამთავრდა ველიმიროვიჩ (იუგოსლავია) — ბაგიროვის (აზერბაიჯანი), პოპოვ (ბულგარეთი) — ბუსლაევისა და კოლაროვ (ბულგარეთი) — იანსას (ჩეხოსლოვაკია) პარტიები.

დოდა (პოლონეთი) — გიორგაძის შეხვედრა გადაიდო.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

**7 ტურის შემდეგ ლიდერობენ:**

**კურაიცა—6,5 ქულა, გურგენიძე—5,5, ბაგიროვი—5, ბუსლაევი და იანსა—4,5-4,5 ქულა.**



სურათზე: ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონი, იუგოსლავიელი ბ. კურაიცა (მარჯვნივ) ეთამაშება თ. გიორგაძეს.

ფოტო ა. ჩანტლაძისა.




● ოსლო, 28 ივნისი. „ბიშლეტის" სტადიონზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მსოფლიო რეკორდსმენმა რ. კლარკმა (ავსტრალია) იოლად გაიმარჯვა 3000 მეტრზე რბენაში — 7.58,0. სტარტზე გამოვიდნენ, აგრეთვე, იუგოსლაველი, შვეციელი, ამერიკელი და ჩეხოსლოვაკიელი მძლეოსნები. გამარჯვებული ჯერ კიდევ გარბენის წინ დააჯილდოეს: კლარკს საზეიმოდ გადაეცა „ბიშლეტის მედალი" შარშან ამ სტადიონის ხარბენ ბილიკზე ნაჩვენები შესანიშნავი შედეგისთვის — სწორედ აქ დაამყარა მან 10.000 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდი. ამრიგად, იგი „ბიშლეტის მედლის" მეოთხე ლაურეატი გახდა.

● ბონი, 28 ივნისი. სახელგანთქმულმა ფიგურისტმა, 23 წლის მარიკა კილიუსმა (გფრ), რომელმაც ჰანს-იურგენ ბოიმლერთან წყვილში ორჯერ დაისაკუთრა მსოფლიო ჩემპიონის, ექვსჯერ — ევროპის ჩემპიონისა და ორჯერ — „თეთრი ოლიმპიადის" ვერცხლის პრიზიორის წოდება, თავი დაანება ციგურებით ფიგურულ სრიალს. ბოლო ორი წელია ამ გამოჩენილმა წყვილმა „ბრძოლის ველი" დაუთმო საბჭოთა დუეტს — ლ. ბელოუსოვასა და ო. პროტოპოპოვს. პროფესიონალებში გადავიდა და ჯერ ვენის, ხოლო შემდეგ ამერიკულ რევიუში გამოდიოდა. ამავე დროს, მარიკა ცოლად გაყვა ფრანკფურტელი ფაბრიკანტის ვაჟს — ვ. ცანს. ახლა კილიუსი 10 თვის გოგონას დედაა. „ოჯახური საქმიანობისა და რევიუში გამოსვლების შეთავსება შეუძლებელია", — ამბობს მ. კილიუსი.

● ბუდაპეშტი, 28 ივნისი. ჭაბუკ ფეხბურთელთა I ევროპულ ჩემპიონატში 16 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას, გოგონათა ამ ტურნირში კი 11 ქვეყნის ნაკრები გუნდები იასპარეზებენ. საბჭოთა გოგონები უნგრეთის დედაქალაქში შეხვდებიან გდრ-ისა და იუგოსლავიის წარმომადგენლებს, ხოლო ჭაბუკები ვესპრემში — პოლონეთის, იტალიისა და ავსტრიის ფეხბურთელებს. ყოველი ჯგუფიდან 2 უძლიერესი გუნდი გაითამაშებს ფინალურ ეტაპს, რომლის მატჩები აქ 25 ივლისს დაიწყება.

ფეხბურთი ფეხბურთი

# ემზადებიან...

◆ დრეზდენი, 29 ივნისი. ჩილელი ფეხბურთელები სამხრეთამერიკელთაგან უკანასკნელნი იყვნენ, ატლანტის ოკეანე რომ გადმოლახეს და ევროპაში ჩამოვიდნენ. პირველივე საკონტროლო თამაში მათ აქ წააგეს ადგილობრივ „დინამოსთან" — 1:2. მატჩს 30 ათასი მაყურებელი დაესწრო.

შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე ჩილელმა თავდამსხმელმა რამირესმა ანგარიში გახსნა — 1:0.

მეორე ტაიმში სტუმრებს ვერ იცნობდით, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა 55-ე და 56-ე წუთებზე მასპინძლებმა — ვალტერმა და გუმცმა წარსული მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორებს — ჩილიელების კარში გოლები გაიტანეს.

მიუხედავად ამ წარუმატებლობისა, ჩილიელებმა ბოლომდე მაინც არ გახსნეს კარტები. „შაბათს, ლაიპციგში, გდრ-ის ნაკრების წინააღმდეგ ჩვენ უკეთ ვითამაშებთ, — განაცხადა ნაკრების მწვრთნელმა ლ. ალამოსმა. — ჩემმა ბიჭებმა ბევრი შეცდომა დაუშვეს, ერთგვარად თვითკმაყოფილებას მიეცნენ, რისთვისაც სამართლიანად დაისაჯნენ კიდეც".

◆ ბარსელონა, 29 ივნისი. ესპანელმა მსაჯმა პინტადომ ერთადერთი ბურთი აღნიშნა ურუგვაის ნაკრებისა და „ბარსელონას" მატჩში. 43-ე წუთზე გოლი გაიტანა ურუგვაელმა როჩამ. ესპანელებს არც ერთი მოთამაშე არ შეუცვლიათ, სამაგიეროდ, სტუმართა მწვრთნელმა ო. ვიერამ 23 სპორტსმენი ათამაშა.

◆ სოფია, 29 ივნისი. ვ. ლევსკის სახელობის სტადიონზე გუშინ გაიმართა ბულგარეთის ნაკრების ბოლო გამოსვლა მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების წინ. სათადარიგო შემადგენლობამ მოულოდნელად წააგო საკლუბო გუნდთან, ზაგორის „ბეროესთან" — 3:5, პირველმა ნაკრებმა კი დიდი ანგარიშით სძლია „მინიორს" — 18:0.

ამავე დღეს ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადა ნაკრების საბოლოო შემადგენლობა. აი, ვინაა ეს 22 ფეხბურთელი: მეკარეები — ნაიდენოვი, სიმეონოვი, დეიანოვი; მცველები — შალამანოვი, პენევი, აპოსტოლოვი, ვოიცოვი, გაგანელოვი, ჟეჩევი, ლარგოვი, მეთოდიევი; ნახევარმცველები — დავიდოვი, კიტოვი, ჟეკოვი; თავდამსხმელები — კოსტოვი, კოლევი, ასპარუხოვი, კოტკოვი, იაკიმოვი, დერმენჯიევი, იანჩოვსკი, ვასილევი. მაგრამ დღეს ავსტრიაში საწვრთნელი მატჩების სათამაშოდ გაფრინდა მხოლოდ 19 ფეხბურთელი. დეიანოვი, მეთოდიევი და ვასილევი შინ დარჩნენ და მწვრთნელ ვიტლაჩილის პირველსავე გამოძახებაზე ინგლისს გაემგზავრებიან.

# პრესა, პრობლემები და წინააღმდეგობანი

რაც დრო გადის, ლონდონის თვითმმართველობის წინაშე სულ უფრო მწვავედ დგება ფეხბურთში მსოფლიო პირველობის მატჩებზე დასასწრები ბილეთებით სპეკულაციის საკითხი. საქმე ის არის, რომ ბილეთების დიდი ნაწილი ხელთ იგდეს შავი ბირჟის საქმოსნებმა, რომლებიც არ ჩქარობენ მათ გაყიდვას — ფასების ზრდას ელიან.

აბონემენტი 10 მატჩისა, რაშიც ნახევარფინალები და ფინალიც შედის, ოფიციალურად 25 გირვანქა სტერლინგი ღირს, დღეს კი მას 35 გირვანქადაც ვერ იშოვი.

მაგრამ ბილეთებით სპეკულაცია არაფერია იმ პრობლემებთან, რომლებიც ფეხბურთის ასოციაციის წინაშე დგას და ოპერატიულ გადაჭრას მოითხოვს. აი, თუნდაც პრესისა და აკრედიტაციის საკითხი. ამას წინათ ჰელსინკში ბრიტანეთის სპორტული კომენტატორების ასოციაციის წარმომადგენელმა ილაპარაკა პრესის სამუშაო პირობებზე, რაც ერთხმად მიიჩნიეს არადამაკმაყოფილებლად.

პრესის სამსახური კორესპონდენტთა მრავალრიცხოვანი არმიისთვის გაცილებით მეტ ადგილსა და საშუალებას მოითხოვს. განსაკუთრებით მწვავედ დგას კინოოპერატორთა, რადიო და ტელეკომენტატორთა და ფოტორეპორტიორთა მუშაობის პირობების გაუმჯობესების საკითხი.

ყველაზე მეტად უკმაყოფილო ბრაზილიელები არიან. ისინი გაფთრებით იბრძვიან კინოოპერატორთა რიცხვის გაზრდისთვის, მაგრამ ბრიტანეთის ფეხბურთის ასოციაცია მტკიცედ დგას თავის სიტყვაზე და საფიქრებელია, რომ ეს კონფლიქტი კომპრომისულად არ გადაწყდება.

ფართო საქმიანობა გააჩაღა ბი-ბი-სიმ. მან საგრძნობლად „ჩამოიტოვა" კონკურენტები და მომავალ ტელეგადაცემებში ჩააბა ცნობილი მენაჯერები და მწვრთნელები. ჩემპიონატის დღეებში ბი-ბი-სის სპორტული გადაცემები მიაღწევს სარეკორდო ციფრს — 50 სატელევიზო საათს.

ი. ტ. ვ. დამოუკიდებელი ტელევიზია თავის მთავარ მეტოქეს შესამჩნევად ჩამორჩა. ამ ორი სატელევიზიო გაერთიანების ქიშპობაში კაზუსებიც მოხდა. მაგალითად, ცნობილი მენაჯერი ტ. დოჰერტი („ჩელსი"), შეთანხმების თანახმად, ორსავე სატელევიზიო გაერთიანებას უნდა მომსახურებოდა. ექვიანმა და ამაყმა ბი-ბი-სიმ მენაჯერის ეს გადაწყვეტილება შეურაცხყოფად მიიღო და მასთან კონტრაქტი გააუქმა.

არნახულად გაიზარდა საგანგებო სამახსოვრო სუვენირების წარმოება. ლონდონის ერთ-ერთ მაღაზიაში უკვე დაიწყო ვაჭრობა მსოფლიო ჩემპიონატისადმი მიძღვნილი ნიშნებით, ბურთებით, ვიმპელებით, ქუდებით, ჟილეტებით. იყიდება ოქროს ქალღმერთის ქანდაკების ასლები და, რაც მთავარია, ჩემპიონატის სიმბოლოს „ვილის" მინიატურული გამოსახულება.

## სხვათა შორის

### ფეხით — შვეიცარიიდან ინგლისამდე

ციურიხი, 29 ივნისი. ვინ არის ფეხბურთის ყველაზე დიდი გულშემატკივარი მსოფლიოში? ამ წოდებისთვის პრეტენზიას აცხადებს შვეიცარიელი სარკმელების მრეცხავი ე. ჰოლიგერი.

ფეხბურთის ჩემპიონატის დაწყებას 3 კვირა უკლდა, როცა 48 წლის ჰოლიგერი ფეხით გაუდგა გზას ინგლისის ქალაქ შეფილდისკენ. მას გადაწყვეტილი აქვს იქ იყოს 12 ივლისს, როცა შვეიცარიის ნაკრები ამ ქალაქში გამართავს ჩემპიონატის პირველ მატჩს გფრ-ის გუნდთან. მატჩს რომ ჩაუსწროს, ჰოლიგერმა დღეში 65 კმ უნდა იაროს — ციურიხიდან შეფილდამდე ხომ 1.300 კილომეტრია! მაგრამ შვეიცარიელს სწამს თავისი თავისა. შარშან იგი ფეხით ჩავიდა ამსტერდამს (900 კმ), რათა ენახა მსოფლიო ჩემპიონატის საკლასიფიკაციო მატჩი შვეიცარიასა და ჰოლანდიას შორის.

ახლა ჰოლიგერი საფრანგეთის გზებზე მიაბიჯებს ზურგჩანთით, რომელშიც 6 წყვილი ფეხსაცმელი უდევს.

### დოპინგი აკრძალულია

პარიზი, 29 ივნისი. საფრანგეთში ძალაში შევიდა დოპინგის საწინააღმდეგო კანონი, რომელიც 1 წლის წინათ მიიღეს. სპორტსმენი, რომელიც შეჯიბრების დაწყებამდე გამოიყენებს ნარკოტიკებს, ისჯება 1 თვიდან 1 წლამდე პატიმრობით ან ჯარიმით. დაისჯებიან ის სპორტსმენებიც, რომლებიც უარს იტყვიან შეჯიბრების შემდეგ შემოწმებაზე. როგორც ცნობილია, პროფესიონალი ველომრბოლელები დოპინგს მიმართავენ, რათა შეჯიბრებაში უკეთ გამოვიდნენ. 1 წლის წინათ ბელგიაში ჩატარებულმა გამოკვლევამ დაადგინა, რომ ასე იქცეოდა პროფესიონალი ველოსიპედისტების 37 პროცენტი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## ა. ი. ელენი იყოებოები ინგლისში

# ბობი ჩარლტონი

1958 წლის მიუნხენის ავიაკატასტროფის შემდეგ, როცა დაიღუპა „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელთა უმრავლესობა, ინგლისის საუკეთესო გუნდი, უმთავრესად, თავისი ახალგაზრდა ტალანტების იმედზე დარჩა. ერთ-ერთ ასეთ ტალანტად ამ დროს რობერტ (ბობი) ჩარლტონი ითვლებოდა და სპეციალისტები არ მოტყუვდნენ: ბობი ჩარლტონი დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელია.

ბობი „მანჩესტერ იუნაიტედში" 15 წლისა მოვიდა და იმთავითვე მოხვდა გამოჩენილი მწვრთნელის მ. ბასბის ხელში. 1957 წელს პირველად გამოვიდა მწვანე მინდორზე მანჩესტერელთა საბრძოლო შემადგენლობაში.

ახლა 28 წლის ჩარლტონი უაღრესად სწრაფი, შესანიშნავი ტაქტიკური ალღოს ფეხბურთელია და მ. ბასბიმ მას ამიტომ გუნდის „დირიჟორის" ფუნქციები ანდო.

ბოლო სეზონი ბ. ჩარლტონმა შესანიშნავად ჩაატარა და ჟურნალისტებმა იგი „წლის საუკეთესო ფეხბურთელად" აღიარეს. ამავე დროს ბობი თავისი ქვეყნის ჩემპიონატში გატანილი „საუკეთესო გოლის" ავტორიცაა.

ახლა ბობი თავის უფროს ძმა — ჯ. ჩარლტონთან ერთად ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში გულმოდგინედ ემზადება მსოფლიო ჩემპიონატისთვის.

ბრიტანელ ჟურნალისტებს მიაჩნიათ, რომ ჟიულ რიმეს თასისთვის ბრძოლაში ინგლისის ნაკრების ერთ-ერთი მთავარი იმედია ბობი ჩარლტონი.

• • •

სურათზე: ბ. ჩარლტონი.



# ნარევი

### იდეალური ფეხბურთელი

იტალიის მედიკოსთა ერთი ნაწილი დიდი ხანია მუშაობს საკითხზე: ფეხბურთელისთვის რა ასაკი და ფიზიკური მონაცემებია იდეალური? ამ მიზნით ისინი მთელი წლის მანძილზე სინჯავდნენ მსოფლიოს შვიდ გამოჩენილ ფეხბურთელს. ხანგრძლივი და გულდასმითი ანალიზის შემდეგ მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ფეხბურთელის იდეალური სიმაღლეა 170 სმ, წონა — 69 კგ, ხოლო ასაკი — 24-დან 27 წლამდე.

### რეკორდები

მილანის „ინტერნაციონალეს" ფეხბურთელთა გუნდმა შარშან შემოსავლის რეკორდი დაამყარა, წლევანდელ სეზონში კი მან ეს რეკორდი 260 მილიონი ლირით გააუმჯობესა: კლუბის თამაშებზე შემოსულმა თანხამ 935 მილიონ ლირას მიაღწია! როგორც ხედავთ, „ინტერნაციონალე" მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე რენტაბელური გუნდი ყოფილა.

მეორე საფეხბურთო რეკორდის ავტორია გლაზგოს „სელტიკი": მის მატჩებს ერთი სეზონის განმავლობაში დაესწრო 1.246.000 მაყურებელი!

ფეხბურთი ფეხბურთი

## თბილისის სპორტული ბაზაზე

ტანვარჯიში. ტანვარჯიშული დარბაზი (პეტრიაშვილის ქ. № 7). 30 ივნისი-2 ივლისი. ამიერკავკასიის მოსწავლეთა პირად-გუნდური პირველობა. დასაწყისი 17 ს.

ხელბურთი. კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონი (ლენინის ქ. № 42). 1-6 ივლისი. საქართველოს პირველობა „ა" კლასის ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის. დასაწყისი 10 ს. და 17 ს.

ცხენოსნობა. იპოდრომი. 30 ივნისი. სოფლის სპორტსმენთა რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობა. დასაწყისი 16 ს.

ბადმინტონი. უნივერსიტეტის სპორტდარბაზი (ი. ჭავჭავაძის პრ. № 1). 30 ივნისი. თბილისის პირადი პირველობა. დასაწყისი 17 ს.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.



უე 04997